შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი **16 იანვარი, 2015 წელი**

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ცეკური" (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი დირექტორის ბექა ხაბულიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. შპს ,,ცეკურს" 2014 წლის 19 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #1.1.1/10/401 ხელშეკრულებით *(ქ. თბილისში წყნეთში ჩოლოყაშვილის და ახალდაბის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა)* გათვალისწინებულ და დავალებულ ქუჩებზე შესრულებული აქვს ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ დასრულებულია მიწის სამუშაოები და მოწყობილია საფარის ქვედა ფენა. ვინაიდან, შპს ,,ცეკური" არსებული ცვალებადი კლიმატური პირობების გამო, კერძოდ, დაბალი ტემპერატურის გამო, ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულებას (არსებული კლიმატური პირობები და ტემპერატურა არ შეესაბამება საავტომობილო გზებზე საფარის ზედა ფენის მოწყობისათვის საჭირო სტანდარტებს, შესაბამისად შეუძლებელია მოეწყოს სტანდარტების შესაბამისი საფარის ზედა ფენა) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

2. მიმწოდებელი ვალდებულია შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში წარადგინოს რედაქტირებული სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა - გრაფიკი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო (საავანსო) გარანტიის ვადის გაგრძელება 2015 წლის 28 მარტის ჩათვლით. აღნიშნულის 1 თებერვლამდე წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 16 იანვრის #07/15016734-18 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2014 წლის 19 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #1.1.1/10/401 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,ცეკური"
ს/კოდი: 204521794	ს/კოდი: 209 442 174
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	**ცეკურის დირექტორი**
გ. სოლომონია	**ბ. ხაბულიანი**